

„თუ თანამედროვე ეტაპის სირთულეთა ზიზით ვიღაც-ვიღაცე-ები ლაჩრულად გამოიკვთებიან კაბინეტებში და არ გამოეხმაურები-ან იმას, რომ ცხოვრება სულ უფრო მაგრად და ხმაგაღლა უპაკუნებს კარში და ფანჯრებში, სწორედ ეს იქნება ყველაზე დიდი უცდომია“.

მ. ს. გორბაჩოვი

ISSN 0132-6015

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ნახ. ვ. ლოლუასი

# შეაჯანყება



# ნიუნუნი

# 15


აგვისტო

1987



# ბუნებისცენტრ-სატირული

# ლორწი



### დაჩქარება!

დაჩქარება! დაჩქარებამ დროზე ჩამოიქროლა!  
ქვასაც ხავსი ეკიდება, თუ ძვეს და არ მიგორავს!..

დაჩქარება! დაჩქარების სხივმა გაიცისკარა!  
სახნისს უანგი ეკიდება, თუ სახნავს არ მიჰკვალავს!..

დაჩქარება! წინსვლა! წინსვლა! მეტი გამბედაობა!  
თუ შედგება, მდინარეც კი გადიქცევა ჭაობად!..

დაჩქარება! ახალ დროის გერბად! გამოსაქვეთი,  
ახლებური აზროვნება ახლებური საქმეთი!

თანა სდევდე შენ ამ რჩევას, ვით სიხალის გაკვეთილს!..

### დროა, დროა, გარდაიქმნე!

დროა, დროა, გარდაიქმნე ახლებური მიგნებით,  
თუ ვერ გარდაიქმნები, შენ იგივე იქნები!

სხვა შენს გვერდით სულ წინ წავა, შენ ადგილზე დარჩები!  
უმოწყალო რუტინობის შეგეხება კლანჭები!

ჰოდა, ჰოდა, ახლებური აზროვნებით, სიქველით  
ეს ცხოვრება რომ გარდაქმნა, ჯერ შენ გარდაიქმნები!

თორემ, თუკი, თუკი წინსვლის ლაშქარს ველარ მიჰყვები,  
შენ უწყალოდ ამ ცხოვრების გზიდან გაირიყვები!

### რას ნიშნავს საჯაროობა?

რას ნიშნავს საჯაროობა? — ნაკლს რომ ამხელდე საჯაროდ  
და იგი ნაკლი გააცნო მსჯავრის გამომტან სამსჯავროს,  
რომ ყველამ ერთად თქვენ იგი — ნაკლი — აღმოუხერხათ  
საჩქაროდ!

ნაკლი აღმოუხერხათ საჩქაროდ და არ კი გააჯანჯალოთ!  
გახსოვდეს: საჯაროობის კარი აროდეს დასჯარო!

### ვერ შეამჩნია სიხალისი...

ვერ შეამჩნია სიხალისი სიო ზენა თუ ქვენა,  
ვერ დაარღვია სიძველის ტრადიციული სქემა,

სიხალისი წვიმის წვეთებით მისი გზა აღარ დაღბა,  
ველარ დაეხსნა ძველ შტამებებს თვადა ქვეული შტამება!

მისთვის იოლ არს ათასჯერ გადაღეჭილის ცოხნა,  
ვიდრემდის სიბრძნეს, სულ ახალს, განსჯიდეს იგი ცოცხლად!..

### ახალი კუთხით შეხედი!..

მღელვარე დღევანდებობის ასე მოითხოვს საქმე:  
ახალი კუთხით შეხედო მოვლენებსა და საგნებს!

მაშ, გაუსწორე დღეის დღეს შენი თვალიც და მხარიც  
და განახლების სწრაფ სიოს გაჰყევ ნაბიჯით ჩქარით!

გაჰყევ! — ერთ მთას რომ გადაივლი, გზას დალანდავდე  
შემდგეს, განვითარების პროცესში ცხოვრების ფაქტებს ჰკრებდე!..

და რომ სიხალისი ჰიუსზე მხრებალმართული შედგა,  
იმა ჰიუსზე მიმავალ შენს რკინის მუხლებს ენდე!

### სტარტზე გულახდილობა

თქმულა: სნეული დასტაქარს თუ დაუმაღლავს სატიკვარს  
და არ იწამლებს სატიკვარს, ველარ მოირჩენს სატიკვარს!..

ის სატიკვარი იძალებს, მას რომ ძაბუნად ატყვია  
და, შესაძლოა, ის ბოლოს სულაც გადაჰყვეს სატიკვარს!..

ასევე ჩვენც საზოგადო ნაკლი, ვითარცა ჰრილობა,  
უნდა ვამხილოთ, განკურნოთ, გეჰონდეს ამისი ცდილობა, —



მიტომაც ჩვენი ცხოვრების  
სტარტზეა გულახდილობა!

### მოკვალავალი დამა

მან ვერ წაშალა სულში მოძველებული დამა,  
მოძველებული ტვიფრით, მოძველებული ციფრით,  
დაქრის აღმა და დაღმა!..  
ასეთი „სტერეოტიპი“, ჩვენთვის სულ უცხო ტიპი,  
დროა, გარიყოს ხალხმა!

### არ შეჩერდე!

არ შეჩერდე! — ერთ სამანზე არ შეგაღო მზერა!  
სხვას ყველაფერს დაიბრუნებ, დროს კი, დროს კი — ვერა!

### ადგილის ტკეპნი

ვერ შეგძრავს ახალ აზრების ჩქეფა  
და სულ ერთ ადგილს დაუწყებ ტკეპნას? —  
მაშინ სულ ერთი ადგილის ტკეპნით  
აღარც წინსვლაა და აღარც ტემპი!  
მაშ, უძრაობის ჯებირთან შებმით,  
დე, უძრაობის არღვევდე ჯებირს!

### ჯიჰარ მოვიშორეთ!

გაყვითლებულ გაზეთივით გასტრეცილი, გაცვეთილი,  
დრომოჭმული, ყავლგასული ფორმულებით გაქლენთილი  
ვინც არს, ჯიჰარ მოვიშორეთ სანთლის ცივი ნაღვეთივით!

### უხირო თვითდაგვიდავა

რაკი არ მოსწყდა ჩვეულ სტანდარტებს,  
მას არაფერი აღარ აღარდგეს,  
მას არაფერი აღარ აღონებს,  
რაკი არ მოსწყდა ჩვეულ შაბლონებს!..

და.. ის სიგარეტს მშვიდად აბოლებს!

### დოგმა

ტრადიციული დოგმა რომ ველარ სძლია ზოგმა,  
მიტომაც იმას სიხალისი ქარი აღარა ზოგავს!

### დღეს ჩვენს სუნთქვას ასე ჰქვია!

დაჩქარება! დაჩქარება! ახალ სიმთა აჩქამება!  
დაჩქარების სტარტეგია! — დღეს ჩვენს სუნთქვას ასე ჰქვია!

### მოკვალავალ ტრაფარეტს...

მოძველებულ ტრაფარეტს ის მუდამ თავს აფარებს!

### უკრაოვა

ლამის ტვინიც კი ექვა ჭაობად, რადგან დასჩემდა მას  
უძრაობა!..

### მოკვალავალი პროდუქცია, ანუ მუშაობა კვალი ვითოფიბრით

როცა საწარმოს პროდუქცია უვარგისია,  
ამ პროდუქციას, დასაღებულს, უკან ისვრიანს  
ვერავითარი დახვეწილი დეკლამაცია  
ვერ იგერიებს მომხმარებლის რეკლამაციას!

### დროგოგავალი თარგავი

ვინაც მისდევს დღეს დრომოჭმულ თარგებს,  
მას ეს სტილი არასოდეს არგებს!..

### კონსერვაბორი

აზრებს აკონსერვებს კონსერვატორი —  
ყოველთვის მოძველებული აზრების პატრონი!

ილუსტრაციები ჯ. ლოლუასი



# დაუბრკელი წყარო, ანუ მიხვალთ ქართულ იუმორს!

ქართული ლიტერატურული პრესა მწერალადა იუმორზე. ჩვენს სქელტანიან ლიტერატურულ ურნალებს „მნათობს“ და „ციხარს“ იუმორისთვის ორი-სამი გვერდიც არ ემეტებათ. ეს მაშინ, როცა ყველა საკავშირო ლიტერატურული ურნალ-გაზეთი იუმორს უყურადღებოდ არ ტოვებს და სპეციალური რუბრიკებით აქვეყნებს.

„ლიტერატურნაია გაზეტა“ ფართო პოპულარობის ერთერთი მიზეზი რუბრიკა „12 სკაში“ უნდა ვეიოთ, გაზეთი, რომელიც საერთაშორისო და საშინაო პოლიტიკის ყველა მნიშვნელოვან საკითხს აშუქებს, ახერხებს ერთი გვერდი მთლიანად იუმორს დაუთმოს. გაზეთი „ლიტერატურულ საქართველოს“ კი იუმორის რუბრიკა არასოდეს მკონია და არც ახლა აქვს.

თუ თავის შეწუხებას არ ვისურვებთ, შეიძლება ყველაფერი იუმორის დევიციტს გადავადგინოთ. საქმეს ამით არაფერი ეშველება. არც პოლიცია იქნება სწორი. ქართველ კაცს იუმორის გრძნობა არახდროს და მკარგადა და არც მომავალში გამოეღევა.

ხადღისოდ ქართველმა იუმორისტმა უპირველესად იმაზე უნდა იფიქროს, რომ მის მიერ შექმნილი ნაწარმოები მოცულობით დიდი არ გამოვიდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი გამოქვეყნების გარანტია არა აქვს. გარანტიას ვერც „ნიანგი“ მისცემს, რადგან ურნალის წინაშე გარკვეული ამოცანები დგას.

პუბლიცისტური უღერადობის წინა პლანზე წამოწევა ურნალის ისედაც შეზღუდულ მოცულობაში ლიტერატურული მასალის მკაცრ ლიმიტირებას იწვევს. ამჟამად „ნიანგში“ წარმოდგენილი მასალა არ უნდა აღემატებოდეს სამ-ოთხ ნახევრად გვერდს. ფაქტობრივად ურნალს საშუალება არა აქვს დაბეჭდოს იუმორისტული მოთხრობა. ამიტომ, რომ მის ფურცლებზე მეტწილად იუმორესკები ისტამბება.

ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ აქტუალობაზე აღებული კურსი ზოგჯერ სქემატური და პლაკატური ხასიათის პუბლიცისტების მოკარბებასაც იწვევს. არავის ეგონოს, რომ „ნიანგის“ მხატვრული დონე ჩვენ თვითონ მოგვწონდეს. ზოგიერთისთვის ეს დონე სალაპარაკო მასალაც კი გახდა. სხვათა შორის, ამაზე უმეტესად ისინი ამახვილებენ ყურადღებას, ვინც საერთოდ არ კითხულობს ურნალს. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუმჩნეველი არ დარჩებოდა ბოლო წლებში მომხდარი სასიკეთო ძვრები.

ურნალის მხატვრული და იდეური დონის ასამაღლებლად მონდომება არახდროს და გვეკლია და არც მომავალში დავიშურებთ ენერჯიას. იმედი გვაქვს, რომ თავდადებული შრომა სათანადო შედეგს გამოიღებს.

ისიც ცხადია, რომ ქართული იუმორი მართკ „ნიანგის“ ამარად არ უნდა იყოს მიტოვებული. ყოველმხრივ მისასახლმებელია გაზეთი „თბილისის“ ექსპერიმენტი. მიუხედავად იმისა, რომ იუმორი აქაც ლიმიტირებულია მოცულობით, „ოლოლოს“ რუბრიკამ კიდევ უფრო დაამშვენა და საინტერესო გახდა გაზეთი. იგივე ითქმის გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტზე“ და ურნალ „კრიტიკაზე“.

გაცილებით უფრო მრავალფეროვანი და მიწოდველი გახდებოდა საქართველოს ტელევიზიის პროგრამა თუნდაც ერთი პერიოდული იუმორისტული გადაცემის მეშვეობით. სატირულ-იუმორისტული სატელევიზიო ურნალი „ოკროპირი“ იშვიათად ჩნდება ციხარეკრანზე და ამასთან აქცენტი მთლიანად პუბლიცისტურ მასალაზე აქვს გადატანილი.

საკავშირო ტელევიზიის პროგრამების ანალიზი მოწმობს, რომ „სიცილის გარშემო“ ყველაზე პოპულარული გადაცემაა. ნუთუ ჩვენ არ შეგვიძლია მსგავსი გადაცემის მოწყობა? დუბლირება ამ შემთხვევაში

მიზანშეწონილი არ არის. ეკვი არ გვეპარება, რომ შეგვეყვს უნარი საყოთარი, განსხვავებული ფორმით მივაწოდოთ ამგვარი გადაცემები ჩვენს მაყურებელს. ასეთი თხოვნით „ნიანგისათვის“ არავის მიუმართავს, თორემ ფორმაც გამოიძენებოდა და შინაარსიც...

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს იუმორი და სატირა მეორეხარისხოვან საქმედ მიაჩნია ზოგიერთ პასუხისმგებელ მუშაკს თუ ავტორიტეტულ ხელმძღვანელს. ასეთი დამოკიდებულება ბევრ რამეს განაპირობებს, საბოლოო ანგარიშით კი პროდუქციის ხარისხზეც ახდენს ზეგავლენას. შემოქმედებითი ინტელიგენციის წახალისების უამრავი ფორმანაირი პრემიებით აღინიშნება ლიტერატორთა მოღვაწეობა, მაგრამ არც ერთ ქართველ იუმორისტ მწერალს არათურაიმე პრემია, წახალისებაც არ ღირსება.

ჩვენი კრიტიკოსები ტრადიციულად უფლებიან გვერდს იმ მწერლებს, რომლებიც წმინდა იუმორის სფეროში მოღვაწეობენ. უნიკო პროზაიკოსობა გაცილებით უფრო პრესტიჟულია ჩვენში, ვიდრე ნიჭიერი იუმორისტობა. მკითხველის აზრს არავინ ითვალისწინებს, მას კი სულ სხვა მისწრაფება აქვს მიდრეკილება იუმორისტული ლიტერატურისადმი საყოველთაო და გლობალურია. ამის დასტური „ნიანგის“ ბიბლიოთეკაც არის, რომლის ტირაჟი 40 თასი ეგზემპლარია. აქაც იგივე სიტუაცია მეორდება. ტირაჟი დიდი, მაგრამ ამ სერიოზული გამოცემული წიგნების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 2 სავეტორო თაბასს.

ქართველ იუმორისტს მხოლოდ ოცნება შეუძლია იმაზე, რომ რესპუბლიკის რომელიმე გამოცემლობამ წიგნად გამოსცეს მისი შემოქმედება. ერთიორი ასეთი წიგნი თუ გამოცემულა საერთოდ და ისიც დიდი ხნის წინათ. გამოდის უამრავი საეჭვო ხარისხის წიგნი, რომლებიც მაღაზიის თაროებს არ სცილდება, მაგრამ „უკბილო ხუმრობად“ ჩაითვლიან, იუმორისტული ნაწარმოებების კრებულის გამოცემა რომ მოინდომო. არადა, სწორედ ასეთი წიგნები სჭირდება იუმორ-მოწყურებულ ქართველ მკითხველს. მათი ხისტემატური გამოცემა ყოველმხრივ მომგებიანი აღმოჩნდება, მაგრამ...

თითქმის ყოველი ლიტერატურული ურნალის განხილვა იწვეობა ყოველწლიურად, მაგრამ არცერთხელ არ მოწყობილა ურნალ „ნიანგის“ განხილვა. ასეთი განხილვის აუცილებლობა კი მომწიფდა თუნდაც იმიტომ, რომ ურნალის რესპუბლიკაში ყველაზე დიდი ტირაჟით გამოდის და

მას ყველაზე მეტი მკითხველი ჰყავს.

დრომოქმულის გამოშვებების ნაკლოვანებთა მხოლოდის მათთან შეურიგებელი ბრძოლის გარეშე წარმოდგენილია საჯაროობის ატმოსფეროს დაენერგვა, გარდატეხის პროცესის დაჩქარება. სატირა და იუმორი ის ბასრი იარაღია, რომლის შემოქმედების ძალა განუზომლად დიდია გარდაქმნის უროულეს პროცესში. ამიტომ დამოკიდებულების შეცვლა დროის მოთხოვნილებითაც არის ნაკარნახევი. იუმორის ნიჭით დაჯილდოებულ ავტორებს უნდა მიეცეთ შემოქმედებითი გასაქანა, სათანადო ამაპარეზი მათ წინაშე დასახული ამოცანების გადასატრედა.

იუმორი ერის კულტურის, მისი სულიერი და მატერიალური ცხოვრების თავისებური სარკეა, რომელშიც მკაფიოდ ირეკლება ამა თუ იმ ხალხისთვის ნიშანდობლივი თვისებები.

მავსილგონიერება, მოსწრებული სიტყვა-პასუხი, იუმორის ხალხი გრძნობა ყოველთვის ახასიათებდა ქართველ ხალხს. ისტორიული ბედუკულმართობის დროსაც კი იგი ერის დაუთრგუნავი ბრძოლისუნარიანობისა და ოპტიმიზმის ერთერთი დაუშრეტელი წყარო იყო.

ჩვენი ღრმა რწმენით, ქართული იუმორი ახალ ფურცლებს გადაშლის საჯაროობის, დემოკრატიზაციის, გარდაქმნისა და დაჩქარების სტრატეგიის სამხასურში.





**არაჩვეულებრივი  
სათავეაო**

**მაისის** ერთ მცხუნვარე დღეს ჩხოროწყუს რაიონული ცენტრიდან დაშორებულ მინდორზე, სადაც ჯანმრთელობის თანამედროვე ტიპის კერის შესაქმნელად პირველი კონსტრუქციები აღმართათ, საძირკვლის ღრმა, ფართო ორმოში ჩაგუბებულ „ტბაში“ ბიჭუნას ანკესი გადაეგდო და მოთმინებით ელოდა... რას? დამერწმუნეთ, კალმასს!.. დიას, ნამდვილად კალმასს, იმავე გელაქუნას, იმხანს და არა რაიმე სხვას.

ნაყარ მიწაზე ჩამომჯდარ ბიჭუნას მალე თანატოლი მიუჯდა გვერდით. ამ დროს ახალგაცნობილი მახლობლად მცხოვრები ასაკოვანი კაცი საუბარს განაგრძობდა:

— როცა მდინარე სობისწყლიდან აქ ინერტული მასალა მოჰქონდათ, ხრეშს ამოყოლილი კალმასის ლიფსიტები თეთიმცვლედიდან პირდაპირ ამ წყლიან ორმოებში აღმოჩნდნენ, გაიზარდნენ და მომრავლდნენ!.. მშენებლობა დიდი ხანია დუნედ, უღიმღამოდ მიმდინარეობს!.. პატარებმა რა ქნან, გულის კიას ახარებენ, ერთობიან!.. კაი სანახავი კია, ღმერთმანი!..

როგორც კი ბერიკაცმა საუბარი დაამთავრა, წყლიდან მკვირცხლად ამოგდებულ ნესკავს ცილისოდენა შავ-წითელხალბიანი კალმასი ამოჰყვა. სახევაბადრული ნორჩი მოთევზავისა და უმწეოდ მოფართ-

ხალე გელაქუნის დანახვზე უცებ მებადურისა და ოქროს თევზის ზღაპარი მომაგონდა.

— ოქროსი რომ იყოს და ნატვრას შევისრულებდე, გაუშვებდი? — ვკითხე.

— გაუშვებდი! — მიპასუხა დაუფიქრებლად, ბავშური სუფთა ლიმილით.

— აბა, რას ინატრებდი?

— არ ვიცი! — მორცხვად ჩაღუნა თავი.

— ამ გაუთავებელი მშენებლობის დამთავრებას ვთხოვდი მე! — სიტყვა შეგვანია მოხუცმა. მაგრამ რადგანაც თევზი მართლაც არ იყო ოქროსი და არც შეიძლებოდა ასეთი ყოფილიყო, ბიჭუნას იგი ხელიდან არ გაუშვია. ნატვრაც ნატვრადვე დარჩა.

ეს მოხდა 1984 წლის 31 მაისის მზიან დღეს, როდესაც პარტიის ჩხოროწყუს რაიკომის პირველი მდივნის საუბრიდან ბევრი რამ გავიგეთ მეტად მნიშვნელოვანი და საჭირო მშენებლობის თავიდანვე უთავბოლოდ წარმართვის შესახებ.

**პარტი წამოწყება,  
გაბრძკელება?...**

**ამრიგად,** ეს ამბავი შეესება 1977 წლის თებერვალში დაწყებული ჩხოროწყუს სამკურნალო კომპლექსის მშენებლობას, რასაც რაიონის ხელმძღვანელობამ დიდი მონღომებისა და ზრუნვის შედეგად მიაღწია. თაოსნობა დროული, გამართლებული იყო იმით, რომ 1932 წელს გასსნილი საავადმყოფოს მატერიალურ-ტექ-

**ინტერვიუ**  
**მშენებლობა**

ნიკური ბაზა ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ სამედიცინო-სამკურნალო მოთხოვნებს, არ ჰყოფნით შენობა-ნაგებობანი, საწოლი ადგილები... თანაც ჩხოროწყულ გამრჯე მშრომელებს ძლიერ ეწადათ რაიონის საერთო სასიკეთო ძვრები, თვალშისაცემი ფერისცვალება ახალი საავადმყოფოს მიკროუბნითაც დამშენებელიყო!..

კარგი წამოწყების საიმედო განვითარება ეჭვს არ იწვევდა, რამდენადაც მისი მეურვეობა ითავეს ისეთმა ავტორიტეტულმა უწყებებმა, ამ შემთხვევაში — დამკვეთმა ორგანიზაციებმა, როგორცაა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველო და სამტრედიის კაპმშენებლობის სარაიონთაშორისო სამმართველო. მშენებლობის დაფინანსება იკისრა რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, ხოლო სამუშაოთა შესრულება დაევალა მშენებლობის სამინისტროს ქუთაისის №4 ტრესტის ცხაკაიას სამშენებლო სამმართველოს, რომელიც დარგობრივი სამინისტროების გაერთიანების შემდეგ იმავე რაიონის №5 ტრესტს დაუქვემდებარდა. 1986

წელს მშენებლობის სამინისტროდან „საქართველოს“ გამოყოფასთან დაკავშირებით აღნიშნული სამმართველო ქ. ზუგდიდის მე-12 ტრესტს გადაეცა.

ამ ორგანიზაციულ-სტრუქტურულმა ცვლილებებმა ერთგვარი დალი დაასვა ისედაც არაორგანიზებულიად დაწყებულ საქმეს. იმის გამო, რომ ჯანდაცვის სამინისტრო გვეშვების მიხედვით ვერ აფინანსებდა ობიექტს და მაშინად თვით მშენებლები ვერ ითვისებდნენ გამოყოფილ თანხებს, მშენებლობა მთელი 1982 წლის მანძილზე სრულ კონსერვაციაში აღმოჩნდა!

პარტიის ჩხოროწყუს რაიონულმა კომიტეტმა, რაისაბჭოს აღმასკომმა რამდენჯერმე მწვევედ დასვეს ეს საკითხი რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებში. საქმე დაიძრა მკვდარი წერტილიდან, მაგრამ...

**უაროპქროდ, უსახსროდ!..**

1983 წელს მშენებლობა განახლდა, მაგრამ თავი იჩინა მოულოდნელმა დაბრკოლებამ: საშენი მასალების გაძვირების გამო აუცილებელი გახდა ცვლილებების შეტანა არსებულ

ნახ. მ. აბაშიძის



— კოოპერატივს მეც კი გავხსნიდი, მაგრამ ქურდობას რომ ვარ დაჩვეული, ჩემს თავს ხომ არ მოვებარავ?!

**დღეს აღბრ უნდათ სოფელი!..**

დღეს აღბრ უნდათ სოფელი, ჩურჩხელა თებრო ბებოხის!.. ქალაქში ნაცნობ ბირჯაზე დგას შვილიშვილი მებოხტნის!.. დღეს პაპას ტყეში ვინ დასდევს, ხალ ნახავთ ასეთ

შვილიშვილს? რა ქნას, ახვალტის სატკებნად მიემგზავრება თბოლისში!.. ჩირად არ უღირს სოფელი სოფლის კალთაში გაზრდილსა, აღბრც ზურნელი იზიდავს დედის გამოცხვარ მჭადისა!.. რაც რომ დატოვა სოფელი, მშობლები არც ჰყავს ნანახი, ამბობს: „ვქორვაქრობ, დავფრინავ, თქვენ ზილეთ სოფლის ტალახი!..“

მე, გაწაფული ვაჭარი, აქ ყვავს ვასაღმე ბულბულად, თქვენ გქონდეთ თქვენი მაჭარი, თიხის ჩაფი და თუნგულა!.. ვენახში ვაზის მოვლითა განა თქვენსავით ვიღვლები, გადაგვრავ ბროლის თასით და სცვივა შამპანურს ეინუღვლები! განა წიწილებს „ჭუ-ჭუ-ჭუ-ს“ ბებიახავით გავყვირი?! ქათმის გაპუტვას არა სჯობს სორცი, ერთი წლის ნაყინი? ზოგი ვაჭრობით გამიღირდა, ზოგიც — ვაჭრების მხილებით!.. ურელი ძროხის რძე რად მინდა, ცოტაა აქ რძის ფხვნილები? თქვენებრ შრომით და წვალეებით ვერ გამოვიღვე არაქათს!.. ჩემს ფულს არ ემორჩილება სოფლის ხვავი და პარაქა? კარზე მომდგარი სტუმრისთვის განა თქვენსავით კარს ვაღებ? — მაღაზიაში ნაყიდ ყველს ბაზარში თუმნად ვასაღმე!.. თქვენ გქონდეთ მუხაც, ურთხელიც, პიტნა, პრასი და ქინძია!.. ვერც თებრო ბებოს ჩურჩხელით ვერ გამოაკვირვებთ, ბიძია!.. ახლა ვიგონებ იმ გორებს, ბოლმა მაწვივა ყელშია!.. ვაი, რა ქაჩი ვყოფილვარ, თქვენ რომ დავდევით ტყეშია!..“

ეთერ სახსარამ ჯღანაძე





ტექნიკურ დოკუმენტაციაში, ხარჯთაღრიცხვების გადაანგარიშება დამატებით სამუშაოებზე მშენებელთა შინაშენების ვათვალისწინებით. ამასთან, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, რაიონის თავაკაცებთან შეთანხმებით, მიზანშეწონილად მიიჩნია სამას საწოლზე დაგეგმილი საავადმყოფოს, ანუ მთავარი კორპუსის პროექტი გადაეკეთებინათ ასრომყოფად და საწოლზე გაანგარიშებით.

დიდი ვაი-ვაგლახის შემდეგ მშენებლებმა მიიღეს მსოლოდ მთავარი კორპუსის საძირკვლის ნახაზები ხარჯთაღრიცხვის გარეშე. ამიტომ იძულებული გახდნენ ფუძისათვის მიწის ამოღება შეეწყვიტათ!..

— ჯანმრთელობის სამინისტროს არ აღმოაჩნდა სახსრები დასაფინანსებლად, ესაა ძირითადი მიზეზი, — გვითხრა ცხაკაიას სამშენებლო სამმართველოს მთავარმა ინჟინერმა ნუგზარ აბშილაძემ. არ შევუდგებთ მტკიცებას, რომელი მიზეზი უფროა ძირითადი და მთავარი — ტექნიკურდოკუმენტაცია თუ თანხების უქონლობა. ეჭვიმუტანელი ისაა, რომ მშენებლობა არც ერთისა და არც მეორის გარეშე არ გაიშლება. ამ ჭეშმარიტებაში ალბათ ჯანმრთელობის სამინისტროს

სავეგმო სამსახურისა და საქართველოს სსრ „სახმშენის“, მისი საპროექტო ინსტიტუტის „საქქალაქმშენსახპროექტის“ მუშევრებიც დაგვეთანხმებთან.

ფაქტიც ხომ უდავოა: მიმდინარე წლის თებერვლიდან უპროექტო და უსასწრო ობიექტი, რომლის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება ადრინდელი პროექტით ოთხ მილიონ 700 ათას მანეთს შეადგენს, მეორედ აღმოჩნდა კონსერვაციის ტყვეობაში! მშენებლებს ხელი მაინც არ ჩაუქნევიათ. მიაღწიეს იმას, რომ ძველი პროექტით ნავარაუდები კორპუსების ე. წ. მსუბუქი გადახურვა შეიცვალეს თუნუქით, რაც უფრო პრაქტიკულია, საიმედოა კოლხეთისპირა უხვნალექიანი ზონისათვის.

როგორი სურათია დღეს ამ ობიექტზე? მეტად უსიამო შესახუდავია რკინა-ბეტონის ფილებით ნახევრად ამოყვანილი პოლიკლინიკის შენობის კედლები, ინფექციური განყოფილების დაუსრულებელი ფასადები, წაქცეული, ჟანგმოადებული კოშკურა ამწე, რომელიც შექანიზაციის სპეციალისტებულის ტრენტის ქუთაისის №7 სამმართველოს განკარგულებაშია და დღეს, ვინ იცის, ვის


სამსახურშია!.. მშენებლებს შევასხენებთ, რომ სიტყვა „კონსერვაცია“ არა მარტო დაწყებული საქმის გაურკვეველი დროით შეწყვეტას ნიშნავს, მეორე მისი განმარტება ასეთია: გაფუჭებისაგან, დაზიანებისაგან დაცვა სპეციალური პირობების შექმნით. კონსერვაციის დროს მთავარია დავიცვათ და ხელახლა ასაშენებელი არ გავხადოთ ის, რაც უკვე გაკეთებულია.

**ბედნიერი ნაოსნობა და...**

„ყოველი შენობა ძირიდან ამალელებულა, მაღლიდან კი შენობა არსად არ დაწყებულა...“ — დიდი ილიას ეს სიტყვები დამპროექტებლებს რომ გახსენებოდათ, იქნებ ჩსოროწყულთა სატკივარი გულთან მიეგანათ, თორემ მართო ნახაზის საფუძველზე როგორ უნდა ჩაეყარათ საძირკველი ასაშენებელი კომპლექსის ყველაზე მსხვილი, საჩქარო ობიექტისათვის — საავადმყოფოსათვის? მართლაც მაღლიდან ხომ არ დაიწყებდნენ აგებას?..

საძირკვლისათვის გამიზნულ სიგრძეზე გაჭიმულ ღრმა თხრილში გრუნტისა და წვიმის ზღვისფერი წყალი ჩამდგარა!.. ობიექტის დარაჯმა, რომელიც სშირად გამოჩნდება შემოუკავებელი ტერიტორიის სამეთვალყურეოდ, პირველ თავში აღწერილი სურათი გავგახსენა და ერთი საიდუმლოც გავგანდო: რაკი სათევაო „ტბები“ უკვე ამოვსებულია (პოლიკლინიკის სარდაფის დანიშნულებას


შეასრულებს მომავალში), ანც ბიჭუნებს თორმე მშენებლებისა თუ ბუნების წყალობით გაჩენილ არსში ნავებით გასვირნება გადაუწყვეტიათ. მსოლოდ საცურაო საშალებების პრობლემა აჭიანურებს მათი იშვიათი ჩანაფიქრის განსოცილეებას. ჩვენ კი უფრო აქ მოთხრობილი არასასურველი ამბავი გვაფიქრებს, ნამდილ პრობლ-



ემად გვესახება მაგრამ მაინც იმედიანად ვუსურვებთ მეოცნებე მოზარდებს ბედნიერ ნაოსნობას, ჩსოროწყულ მშრომელებს — მათი დიდი ხნის ნატვრის აღსრულებას — ჯანმრთელობის დაცვის ახალი ბაზის მწყობრში ჩაყენებას! მითუმეტეს მშენებლებიც იმედოვნებენ: ობიექტს მართლაც დააგება საშველი, მომავალი წლისათვის თუკი ექნებათ სრულყოფილი ტექნიკური დოკუმენტები და დაფინანსების მტკიცე გარანტია!

ანჟორ ბარამია,  
„ნიანგის“ კორესპონდენტი  
ზუგდიდის ზონაში.

ნახ. 3. ზანტურინის



უსიტყვოდ



ნახ. 3. ლლაქინა

— სასწრაფოს ლოდინს არ ჯობია აგერ „ტუ-სტო ჩეტირე“, მოსკოვი და მისი ჯანი?!




### შახტანბნ ქაშინი

ქართული იუპორის თვალსაზრისით თითქმის მთელი მსოფლიო იყო შახტანბნ ქაშინის გამოწვევით. მთელი მსოფლიო იმდენად, რამდენად იგი წარმოადგენდა, როგორც უკვე ზედაწილში, მკვიდრი სიმბოლო და აღიარებული კრიტიკურისტიკა და უნდა დაიპირი მერნალ-ვახუშტის ფურცლები. მის შემდეგ იცხა შემდეგ წელი კვლევა და ის ნაყოფიერი შრომის შედეგად - 4000 კარკატორში ფლვისთვის გაზუფების - „კონსტრუქტის“ და „ზარია ვისტოკის“ ლელის, „ვეზინი ტალობისა“ და „სოფლის ცხოვრების“ დარბაზების - „ნიანების“ და ამბრული სიტყვის, ვერადა ცხრამდღური პრესისა და უცხოეთის დარბაზების - „უკრაინა ვიდეოს“, „შინოკის“, „სოფლის“ მკითხველები კარგად იცნობენ ამ შესანიშნავი სიტყვის სახეობარი მნიშვნელობებს.


შახტანბნ ქაშინი მოსკოვში გამართული მსოფლიო კონკურსის - „ლენინური ლეილონი“ და გაზეთ „საქმების“ მიერ გამოცემულ კრიტიკურისტიკა საკუთარი კონკურსის კონკურსების დაიდაინ დაიხვეწნ მისი ნახაის უკუელი შერისი, უფრო ფიქრეველი ვახუა მისი „საქმები, გეორგიოვილი და „საქმები თვალსაზრისის არე, ამროვნების დიაბონი. ახალ-ახალი წახნაგებით გამოპრინციდა მხატვარ-კრიტიკურისტიკის მრავალშრიტი პულიტრა.

ფლავ, მისი დამაღვების მე-40 წლისაზე, შინა უკრუო წყის ახალ-ახალი კლავას ახალი შემოქმედებითი წინამეტყვები, ოპტიმიზმი და უნიკალი უნიკალი მართალი კრიტიკურისტიკის სახეობარა!


ანდროსი კანდელაკი, საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი.




— შახტანბნ ვერ მდებრით, რაზე ეს რიგე?




— ხომ არ გვინია, რომ მე სკამის დეკორაციის მე-შინია?!



— ბიჭებო, რამე სამლოცოვარო დაუყარით. მოულოდნელად გარდაიცვალა ჩემი ერთი თვის საოჯახო ბიჭუკი.



— ისევე ქრთამი?! ვრცხვენოდით, მე რკინის ნერვები კი არა მაქვს.



უსიტყვოდ



ზოგიერთი სამეურნეო ბათაშორის პუნქტების გამგებად და დამამზადებლებად მუშაობენ დიპლომიანი კვლეგები და ინჟინრები, რომლებსაც საერთო არა აქვთ და სოფლის მეურნეობასთან.

ნახ. ბ. ლომიძის



საიმედო ჭერქვეშ

## თქვენს წახვალთ დასასვენებლად!

### შეგონება მამაკაცებს

კაცებისათვის დრო დადგა ეგრეთ წოდებულ „გრილის“ — ცოლები სოფლად გაუშვეს, თვით კი დაიწყეს წრიალი.. ზოგი თავს იქცევს ქეიფით, ზოგი დაიძებს ძველ სატრფოს (რა ქნას, რომანის გარეშე სულს ვერ აამებს, ვერ ატკბობს!). ზოგს ფული შემოეღია და დაუგროვდა ბოთლები, ზოგმა ბინაში მოყარა ძველი ძმაკაცი ლოთები.. ზოგს მიჯნურობის მადა და სურვილი ანლა აღძრა (თან გულში შიშობს, — ეგ ცოდვა ცხვირში არ წასკდეს მალე ძმრად).

მიზეზი ყველას ერთი აქვს: „რა ვქნა, ორი თვე მარტო ვარ, ცოლი სოფელში წაბრძანდა, მე ამ სიცხეში დამტოვა!..“  
კაცებო, ვიცი, აგვისტოს სვატი გთანგავთ და გაწვალვებთ, მაგრამ ერიდეთ, უფრთხილდით მაცდურ „ტანს ტატანს“, შევ თვალვებს!..

ასეთ გართობას სჯობია სული მიჰყიდოთ იუდას, რაც უნდა დიდად იფრთხილოთ, ცოლს ამბავს ჩიტი მიუტანს!.. და ეს ზაფხული ჭირივით გექნებათ გასასვენებლად!..  
გახსოვდეთ, ძმებო, დრო მოვა, თქვენც წახვალთ დასასვენებლად!

ვანო ცინცაძე

ოი, დაიხივლე, მამლო..

ზოგიერთები რომ სულ ფიზლად იუვენენ, მაშინ ხომ მამალიც მოიშლიდა ყვივლს?! არადა, სამჭერ ყვივის მამალი..

### სული და სხეული

ზოგი კაცის სხეული იხეა ამოყორილი ხანოვაგით, ძალიანაც რომ მოინდომო, კეთილ სულს ვერსად ჩაბერავ!

### სანახარობა... მუშტად

რატომ აღარ დადის თეატრში ზოგიერთი? იმიტომ, რომ შესანიშნავ სექტაკლებს ესწრება ყოველდღე, სექტაკლებს, რომლებსაც გაითამაშებენ ხოლმე მის ირგვლივ მყოფი ზოგ-ზოგები. რამდენი კომედია, ტრაგედია და დრამა ხდება გარშემო, თანაც უფასოდ!

### თამბაზობა

იმდენად თავმდაბალი იყო, რომ სცოდნოდა, მასზე ნეკროლოგს გამოაქვეყნებდნენ, თავს მოიკლავდა და მაინც ცოცხალი დარჩებოდა!

### მშვიდობით გავლოს, პაპიტანო!

საკმაპრო გემის ნაკვალევით არ რჩება წყლის ზედაპირზე, არამცთუ პატარა ნავისა.

### გადი თამაზიდან, პაპიტანო!

ძალადი გითამაზიათ? მაშ, ისიც გეცოდინებათ, რომ ნახატთან ბანქოს ქალაღებზე სურათები გაჭრილი ვაშლივით ჰგვანან ერთმანეთს, სწორად მჭლომისაც და თავამხობილსაც.

ზოგჯერ ძველი და ახალი დირექტორებიც ტყუებოვით ჰგვანან ერთიმეორეს. ატრიაალეთ, როგორც გინდათ! — არაფერი არ იცვლება!..

გახსოვდეთ! — არც ერთ თამაშს არ მოაქვს სიკეთე — არც ქალაღდისას და არც!..

### არ შეცდამი

დღის სინათლემ მა არ მოგატყორც: სადაც დღეა, იქ ხელოვნური განათება ზედმეოთა.



### გვიკვინოსნები და უგვიკვინოსნი

ბეჭრბმ თავი იმიტომ წავაგო, რომ გვირგვინი დაიდგათვზე. თუ გავიგიათ, რომ კაცს ფეხებზე ეკიდოს გვირგვინი და ამის გამო ფეხებს აჭრიდნენ?

### გუმბარანი

ზოგის ცხოვრება ბუმერანგის გატყორცნას ჰგავს: მონახავს წრეს და ბოლოს საწყის წერტილს უბრუნდება.

### ფრთხილად!

კიბო — ეს დაავადებაა, როცა ადამიანის უჭრედები იყოფა და მრავლდება არაბუნებრივი სისწრაფით.

ზოგი დაწესებულება ცხეა — იბერება და იბერება უსაშველოდ. მგონი, ასეთ დაწესებულებას კიბო სჭირს!..

ფრთხილად, კიბო მომაკვდინებელი დაავადება!

### „ღვინია ბაღანიჩხა“

აღამიანთა ერთი ნაწილი ძალიან დაემსგავსა ტრახაზე მიმავალ ცხვრის ფარას — უმეტესად „მეე“ იხმის, ძალიან იწვიათად — „შეენ“.  
ნეტავ საით მიდის ცხვრის ფარა?

### ძალი და სიმატლი

შიშველი ქალი თითქმის ყველა მამაკაცს იწვიავს ანდამატივით. შიშველ სიმატლეს კი უმეტესობა გაურბის.

### დონ პედრო







— გვეშველა! ფულის შემოტანა შეწყვიტა და გატანა დაიწყო, თორემ კულის მოსაქნევი ადგილი აღარ გვექონდა!

## გულთან მისული საქმე

შუა ზაფხულის ხვატია, მზე ვარვარებს და ელავს, ბუნება თავის წილში გვეპატიუება ყველას! ოი, რამდენი კურორტი და აგარაკი გველის! ფირფიტის ზღვა და მდინარე, ზურმუხტის მთა და ველი... ბუნების მოძღვნილ საუნჯეს, ზღაპრულ წალკოტს რომ ვადრით, უნდა ამკობდეს მასპინძლის გულითადობის მადლიც!.. ვაი, რომ ყადრი სტუმართა ბევრმა არ უწყის კარგად! ზოგჯერ კურორტზე ხალისს და განწყობილებას ვკარგავთ! მომსახურების კულტურა ერთობ დაბალი განლავთ, უგემურ კერძებს მასპინძლის

უსულგულობაც ახლავს! პოდა, ამ ამბავს საშველი აღარ დაადგა რაკი, კონტროლის ჯგუფი შეუდგა, ძირში აღმოფხვრას ნაკლი! მკაცრი კონტროლის გაწვევით ყოველმხრივ ცდილობს იგი, რომ დაამყაროს სასწრაფოდ ყველგან წესი და რიგი! რადგანაც ასე გულდაგულ მოჰკიდა საქმეს ხელი, გვწამს, აღარ განმეორდება დაუდევრობა ძველი! დაბოლოს, მადლიერებით მინდა დავსძინო აქვე: ქების ღირსია ყოველთვის გულთან მისული საქმე!

ზოთა ამირანაშვილი



### მესანძრეები

— გოგოებო, მესანძრეები სართ? — ბრეზენტის ფორმაში გამოწყობილ ქალიშვილებს ვკითხვ.

— გახლავართ!  
— მაშ, ჩამიქრეთ ცეცხლი გულისა!

### ყველაზე ნელი

— რაა ყველაზე სწრაფი? — მკითხა ამხანაგმა.  
— ფიქრი.  
— ყველაზე ნელი?  
— რიგი!

### მაღვიძარა

ბიჭუნას მაღვიძარა ვუყიდე. დილას შემომჩივლა:  
— ეს რა საათი გიყიდა, გამეღვიძა და ახლა რეკავს!..

### დასიღედრ-დასიმაგრება

— რა ქენი, ბიჭო, დაცოლ-შვილი? — მკითხა ჩვენებურმა.  
— მეშველა, დავსიღედრ-დავსამარდი!

### ამაიკონ თაქორიანი

### ვრაშები

- მაშინ კირს, როცა მთხვევს მთიბავი სჯარბოხს.
- სიზმარში ნახადი-ლევი თ შეშვილს ვერ დაი-ოკებ!
- ღამით ჩაყრილს ხვიმირაში დღისით დაგაფქვე-ვინებენ!
- ავი მონადირეც მოსანადირებელია.
- მორიელის კბენის თარიღს ზუსტად ვერვინ დაად-გენს.
- ავკაცს სიკეთეს თუ არ დაუფასებ, მისგან მომ-დენო კარგს ნულარ მოელი.
- სიმართლსაბან გაქ-ციულს სიკრუე წამოიწევა.
- მსრომელი კაცის ოფ-ლი უშრომელის სისხლზე ძვი-რია.
- დაბალი დონის კა-ტუნას ქებაში ჩაეძინება.
- ეშმაკს თვალთ აარი-დე — არც ის დაგენახვება!
- დანაპარკს ხასაც ი-ღო ს არვინ ეძებს მოტირალი.
- მართი ყურად ხალე-ბი, ვიდრე მრავალი ყურის წამლები.

ზაურ კოროგვი



**ბალაფონი** რეკავს. ვიღებ ყურმილს. — დროზე კაცო, დროზე! რას ელოდები? — მესმის მეგობრის სუმრობნარევი მწერალი ხმა და ყურმილის ჩხაკუნი. დადო. უნდა წავიდე, სხვა გზა არაა. ბრძანებას უნდა დავემორჩილო. ასე იციან დიდკაცებმა განკარგულების ვაცემა — შენი აზრი არ აინტერესებთ, შეგიძლია თუ არა ბრძანების შესრულება. თქვა მან? — გათავდა!

ახლოს ვცხოვრობთ. მივედი, სუფრა — დიდებული, ზუსტად ზაფხულის შესაფერი, ხალხი — კარგი, თამადა — არჩეული, პურობაც — დაწყებული. ადგილი მომიძებნეს, მასპინძლის ნათესავის გვერდით დამსვენს. ნაცნობი იყო. თამადამ ჩაის ჭიქა შეავსო და გემრიელ ღამილთან ერთად გამომიგზავნა. მას ნაცრისფერი შარვალი აცვია და სატინის ლურჯი ტოლსტოურა. ამან გამაკვირვა: ან სატინი სად იშოვა, ან სად შეაკერვინა? ოდნავ მელოტირა, შავგვრემანი და... ტარანივით გაფშეკილი.

— ვინ არის თამადა? — ვეკითხები ნაცნობს.

— არ იცით? ნარჩევანის

ქუჩაზე რომ სახინკლეა, მაგისია.

კიდევ გაოცება, უმალ მომაგონდა მხატვარ ღამილტრი ერისთავის სურათი „სახინკლეში“ — ზონზროხა, ჩასუქებული ხალხი. ეს კი... ღამის ვერ დავიჯერე.

ენაწყლიანი აღმოჩნდა ჩემი მეზობელი: — დიდი ხანი არაა, რაც ეს ადგილი იყიდა, პო, იყიდა, მ ათასი მანეთი დაუჯდა (მაშინ დიდი ფული იყო), მაგრამ არ გატყავებულა, მალე ამოიგებს. ყოველ საღამოს სამასი მანეთი მოაქვს სახლში (ახლაც კაი ფულია). ეს მაშინ, როცა ყველა გასტუმრებული ჰყავს — დამლაგებლიდან დაწყებული იქამდე, თითი მაღლა აიშვირა, ე. ი. „საზინები“!

თამადა თამადაობს, სადღეგრძელოებს დიდი პათოსით ამბობს, მაგრამ ყველა სტანდარტულია სიტყვებითაც და შინაარსითაც, თავი და თავი — ღვინოს არავის აძალებს.

— ორ ვაჟსა და ერთ ქალიშვილს უმალღესი დამთავრებინა, — აგრძელებს მეზობელი, — ბინები აუშენა, მანქანებიც უყიდა, დააოჯახა კარ-

გად და საიმედოდ. კარგ სამუშაოებზეც მოაწყო. შვიდი შვილიშვილი ჰყავს. ახლა იმათზე ზრუნავს.

ჩემი დღეგრძელობის დროც მოვიდა. გავეგო, ვინც ვიყავი. თამადამ ცაში ამიყვანა: საქართველოში ყველა ჟურნალისტი და მწერალი ერთ კაცად გადაადნო, მაგრამ იგი წელამდეც ვერ მომწვდა. მაღლობა გადავუხადე, სხვა რა მეტქვა?!

— თამადა უნდა მიდღეგრძელო! — მითხრა მასპინძელმა, როცა ღვინო მიიწურა, და გავსებული ყანწი მომაჩეჩა, — თუ ძმა ხარ, რამე შენებური მწარე სიტყვა არ წამოგცდე! — გამაფრთხილა და თამადასკენ გადაინაცვლა. ბორძიკით დავიწყე, რაღაც მივიკბო-მოვიკბო და ისევ მისმა შვილებმა და შვილიშვილებმა საიმედო გზა მიჩვენეს: ოჯახი ვუდღეგრძელებ, მისი გარჯილობა ერის გასამარავლებლად, შრომა და ვუფასე, ღამილად იქცა, მეც გავუღიმიე და სულმა არ მომიტმინა:


— ახლა ერთი რამე უნდა გთხოვოთ და უარი არ მითხრათ! — ვუბნები მე და ალა-

ლად ვუცინი. — არც გეყვინოთ და არც უარი მითხრათ! — გაიბადრა და ორივე ხელი აწია, — შევებულემაში რომ წახვალთ, თქვენს ადგილზე მე დამტოვეთ! — ხარხარი აუტყდა.

— ვინც არა, შეურსვეს კაცობა!.. — სუმრობას დიდებულად მიიხვდა, ყანწი აავსებინა, ჩემთან მოვიდა და ვანტანგურად დავდიეთ, ერთმანეთი სიცილით გადავკონეთ. მცირე სირუმის შემდეგ ღამილ-მოუშორებლად მეუბნება: — სიამოვნებოთ, მაგრამ ერთ-ორ კვირაში რაღაც საფანჯში გაებმებიოთ და ციხეში ამოყოფთ თავს!.. თქვენი ხსნა ჩემი საზრუნავი იქნება!.. ვიცი, ათი ათასი დამიჯდება!.. ამიტომ ასე მოვიქცეთ: სუთი ათას მანეთს მოგცემთ, ესე იგი ხარკი გამინახევრდება, ორივე მოგებაში დავრჩებით!.. მოდის?! სიჩუმის შემდეგ: — თუმცა წელს უკვე ვიყავი შევებულემაში, გაისამდე ალბათ არ დამტოვებენ, ასეა ცხოვრება აწყობილი, რას იზამ?!

ახალი დაღიანი

ნახ. ი. ყინაზვილისა



უსიტყვოდ

## რა ვქნათ?!

ჩვენს ფეხბურთელებს რომ ჰაერით ესაჭიროებოდათ გამარჯვება, თავიდანვე გრიგალისებური იერიში რომ მიიტანეს მეტოქეზე, რომ დაარტყეს ერთხელ, ორჯერ, სამჯერ... ათჯერ და მეტჯერაც მოწინააღმდეგის კარში, რომ ამღენჯრევე ააცილეს და, პირიქით, საკუთარ კარში რომ მიიღეს ბურთი და წააგეს, რომ შემდეგ ყველაფერი მაყურებლებს დაგვაბრალებს, მხარს არ გვოპრდითო, და რომ ცოტა სპორტულ ბედსაც დააბრალებს, ბურთს მეტოქის კარში გასვლა არ უნდოდო, რომ შემდეგ ფეხბურთელები გაბრაზებული იყვნენ სხვებზე და ყველაფერზე და ერთმანეთს ბურთს არ აწვდიდნენ, რომ აგებდნენ და აგებდნენ მატჩებს და შემდეგ ხელმძღვანელობა და მილიონობით გულ-

შემამტკივარი ეხვეწებოდნენ მათ, დამშვიდებულიყვნენ, ნერვებს გაფრთხილებოდნენ და ევროპისათვის ეჩვენებინათ ნამდვილი ჩვენებური ფეხბურთი, რომ მათ მართლაც აჩვენეს და მერე აღარ აჩვენეს, რომ კიდევ აპირებენ ჩვენებას და გვეზინა, რომ ყველა გულშემამტკივარმა ჯერ კიდევ არ იცის სტადიონზე ფეხბურთელთა გამამხნევებელი სიმღერა — „ბიჭებო, ბიჭებო!“ რომ შეიძლება ეს ეწყინოთ და ისევ აღარ ითამაშონ და საჭირო იქნება კვლავაც დიდი თხოვნა რომ ითამაშონ, და მაინც რომ არ ითამაშონ და ფეხბურთი რომ ყველას გვიყვარს და გული გვიწუხს და ვალიდოლი კი ზოგჯერ არ იშოვება, რა ვქნათ?!

გივი ჯედელაზვილი



540  
 17.VIII  
 1954

ქართული ზეპირსიტყვიერება



ზოგისა ბამბა ჩხრიალებს,  
 ზოგის — კაკალიც არა,  
 რადგანაც ბამბის პატრონი  
 კაკლის პატრონსა შპარავს!..

და თუნდაც თავზე წაადგე,  
 არ გამოტყდება, არა, —  
 შენ დაგაბრალეbs აქეთ,  
 რაც თვითონ მოუპარავს!

კმარა, რაც იყო სიავე,  
 რაც დაიძალა, კმარა!  
 ზოგისა ბამბა ჩხრიალებს,  
 ზოგის — კაკალიც არა!..

რატოა ასე, რატომ?  
 თხოვნა მინც მაქვს ერთი:  
 ბამბის პატრონებს არ ანდოთ  
 კაკლის პატრონთა ბედი!

ხელეები

ხელი ხელს ბანს, ხელი — ხელს  
 და ორივე — პირს.  
 ძირს ასეთი ხელეები,  
 ძ ი რ ს!

ზოგი თვითონ იპარავს,  
 ძმას კი უფრთხობს ძილს.  
 ძირს ასეთი ძმობა,  
 ძ ი რ ს!

თან სიყვარულს ეფიცება,  
 თან კი უთხრის ძირს.  
 ძირს ასეთი სიყვარული,  
 ძ ი რ ს!

თუ სჭირდება, ახლოს მოვა,  
 თუ არა — შორს ქრის.  
 ძირს ასეთი ახლობლობა  
 ძ ი რ ს!

ხელი ხელს ბანს, ხელი — ხელს  
 და ორივე — პირს.  
 ძირს ასეთი ხელეები,  
 ძ ი რ ს!

ამ ხელეების ბრალია,  
 თუ ცხოვრება ჭირს.  
 ხელი ხელს ბანს, ხელი — ხელს  
 და ორივე — პირს.

\* \* \*

კარგს კარგს დავარქმევ  
 და ცუდს კიდევ — ცუდს  
 და ნუ გაიგებს  
 ნურავინ ცუდად,  
 რომ კარგ გამგონეს  
 კარგი მთქმელი სურს,  
 კარგ მთქმელს კი  
 კარგი გამგონე უნდა!

ვინც მართალია,  
 ვინც სწორად დადის,  
 ვერ გაატარებს  
 ვერავინ მრუდედ!  
 ზოგი კი მრუდედ  
 ისრულებს წადილს —  
 ამათ — ორივეს —  
 დანახვა უნდა!

ზოგი გირტყამს და,  
 რომ გაგაჩუმოს,  
 შემოგაჩერებს  
 ზღაპრების გულას.  
 ვინც თავს იტყუებს,  
 არსაიღუმლოდ  
 გამოფხიზლება  
 და ბრძოლა უნდა!

შენ კი კარგს იტყვი,  
 მაგრამ ვინმე ცუდს  
 რატომღაც ესმის  
 ეს კარგიც ცუდად.  
 მართლის გამგონეს  
 მართლის მთქმელი სურს,  
 მართლის მთქმელს  
 მართლის გამგონე უნდა!


\* \* \*

ბუნების წესი ეგრეა —  
 დღეს ენაცვლება ღამე.  
 სადაც რამე არ კეთდება,  
 იქ არც ფუჭდება რამე.

ზოგი გამოვა აგეთი —  
 სხვას დაუწუნებს საქმეს,  
 თვითონ არაფერს აკეთებს,  
 სხვაზე ბევრს ილაქლაქებს.

სხვის ნაშრომ-ნაღვაწს დასცინის  
 და ათას რამეს სწამებს.  
 ვინც არაფერს არ აკეთებს,  
 მას არც ეშლება რამე.

ბუნების წესი ეგრეა —  
 დღეს ენაცვლება ღამე.  
 იქ, სადაც რამე კეთდება,  
 ცოტაც ფუჭდება რამე.






7-87


87-540

ნ.ბ. ბენიკ ზუბაშვილისა



ზ.ზ.

КОНТРОЛЬНЫЕ  
ДОКУМЕНТЫ



ზ.ზ.



საბუღალტრო და იუროკის  
 შურნალი „სანი“ № 15  
 (1745). აგვისტო. გამოდის  
 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი  
 ზაურ გოლვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადღიშვილი  
 (პასუხისმგებელი მდივანი),  
 ვახუა ამირეჯიბი, ნომადი  
 ბართაია, ბორის გურგუ-  
 ლია, რევაზ თვარაძე, ჯე-  
 მალ ლოღუა, ნოდარ მა-  
 ლაზონია (მხატვარ-რედაქ-  
 ტორი), ალექსანდრე სამხო-  
 ნია, ბეჟან სიხარულიძე,  
 (მთავარი რედაქტორის მო-  
 ადგილე), ჯანსუღ ჩარკვი-  
 ანი, თამაზ წიგწიაძე, ნაფი  
 ჯუსიოთი.

ტექნიკური რედაქტორი  
 ირაკლი დუნდუა

გადაეცა ასაწყობად  
 03. 07. 87 წ. ხელმოწერი-  
 ლია დასაბუქდად 03. 08.  
 87 წ. ქალაქის ზომა  
 60x90<sup>1</sup>/<sub>4</sub>, ფიზიკური ნაბე-  
 ქდი ფურცელი 1,5, საალ-  
 რიცხო-საგამომცემლო თა-  
 ბახი 1,9, საქართველოს კ-  
 ცის გამომცემლობა, ლე-  
 ნინის 14. შეკვ. 1685.  
 უე 04874. ტირაჟი 144.000.  
 ჟურნალი გამოდის თვეში  
 ორჯერ. რედაქციაში შემო-  
 სული მასალები ავტორებს  
 არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008.  
 თბილისი-8, რუსთაველის  
 პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი  
 რედაქტორის — 99-55-54,  
 მთ. რედ. მოადგილის —  
 93-19-42, პ/მგ მდივნის —  
 93-10-78, მხატვარ-რედაქ-  
 ტორის — 99-02-38, გან-  
 ყოფილებათა გამგეების —  
 93-49-32, რედაქტორ-ლიტ-  
 მუშაკების — 99-02-38,  
 მდივან-მემა ნ ქ ა ნ ს —  
 99-76-69.

სატირიკო - იუმორისტиче-  
 ский журнал «НИАН-  
 ГИ». (На грузинском  
 языке). Тбилиси, пр. Ру-  
 ставели № 42. Издаель-  
 ство ЦК КП Грузии,  
 Ордена Трудового Крас-  
 ного Знамени типогра-  
 фия издательства ЦК  
 КП Грузии, Тбилиси,  
 улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპ.  
 ინდექსი 76137

